სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/65

ქ. თბილისი 23 ივნისი 2021 წ.

საგანმანათლებლო პროგრამისა და მისი ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2021 წლის 31 მაისის საბჭოს სხდომის №5 ოქმისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 23 ივნისის №01-05-02/12 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა ,,საავიაციო ინჟინერია“, ხელმძღვანელი - პროფესორი რამინ ზუკაკიშვილი;
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **კ. კუტუბიძე**